საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1840 2018 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას განსხვავებული პირობების დადგენის თაობაზე

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიეცეს უფლება, მთარგმნელობითი ცენტრის შეუფერხებელი საქმიანობისა და კვალიფიციური თარგმანების ხელშეწყობის მიზნით, არარეზიდენტ იურიდიულ პირთან – „SDL Global Solutions LTD"-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას არ გაითვალისწინოს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, ასევე მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**